საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიაღის ეროვნული სააგენტო

KA020108175405720

მისამართი: თბილისი , დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: **+995 591 40 40 51**: ფაქსი: **+995 32 243 95 02**

 # 22/1353 **26 / თებერვალი / 2020 წ.**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტროს

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისადმი დაქვემდებარებული ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოგიდგენთ მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქსოვრისის მიმდებარე ტერიტორიაზე, სასარგებლო წიაღისეულის მიწისქვეშა მტკნარი წყლის (216 000 m^3 სამეწარმეო მიზნით) მოპოვების (ID-49677) სკრინინგის განცხადებას.

ლიცენზია გაიცემა მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვებაზე, სამეწარმეო დანიშნულებით მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქსოვრისის მიმდებარე ტერიტორიაზე, შპს „ჯორჯიან ბილდინგ გროუფ“-ის საკუთრებაში რეგისტრირებულ ტერიტორიაზე. გეოსაინფორმაციო პაკეტი და რუკა თან ახლავს სკრინინგის განცხადებას დანართის სახით.

აღნიშნული ობიექტი დაშორებულია შავი ზღვის სანაპირო ზოლიდან დაახლოებით 360 კილომეტრით. არ ფიქსირდება ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიაზე, სადაც გაბატონებულია წითელი ნუსხით დაფარული ხე-მცენარეები, ასევე არ ფიქსირდება დაცულ ტერიტორიებთან, მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებთან, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან და სხვა ობიექტებთან.

წიაღით სარგებლობა მოცემული კოორდინატების საზღვრებში დასაშვებია, ვინაიდან აღნიშნული საქმიანობა არ გამოიწვევს გეოდინამიკური სიტუაციის გაუარესებას.

ამ მიზნით გაცემული ლიცენზია არ გამოიწვევს წყლის, ნიადაგის, მიწის დაბინძურებას, ნარჩენების წარმოქმნას, გარემოს დაბინძურებასა და ხმაურს. ასევე არ არის მოსალოდნელი გარემოზე კუმულაციური ზემოქმედება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას.

დანართი: გეოსაინფ. პაკ. 3 გვ; რუკა 1 გვ.

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის
პირველი მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნანა ზამთარაძე